კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის განცხადება საპრეზიდენტო კანდიდატებთან შეხვედრის შესახებ

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის მზაობას გამოთქვამს წინასაარჩევნო პერიოდში ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მოსაზრებებისა და ინფორმაციის გაცვლას მართლმსაჯულების სფეროს აქტუალური საკითხების შესახებ. ბოლო წლების განმავლობაში კოალიციამ, დეტალური ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისთვის საჭირო რეკომენდაციები, რომელთაც პერიოდულობით აცნობს საქართველოს მოსახლეობას და შესაბამის სახელისუფლო სტრუქტურებს. კოალიციის მიზანია, ყველა დაინტერესებულ მხარეს გააცნოს მართლმსაჯულების საკუთარი ხედვა და აქტიურად შეუწყოს ხელი მის იმპლემენტაციას.

ამ პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის კოალიციის მოსაზრებების მიწოდება იმის თაობაზე, თუ რა არის საჭირო სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდისათვის. ამავდროულად, სამოქალაქო საზოგადოებისა და საქართველოს მოქალაქეებისთვის საინტერესოა საპრეზიდენტო კანდიდატების ხედვა მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე.

ამ მიზნით, კოალიციის წევრები მზადყოფნას გამოთქვამენ შეხვდნენ და ითანამშრომლონ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატთან, მათი მხრიდან ინტერესის გამოხატვის შემთხვევაში.

2011 წლის აპრილს ჩამოყალიბებული კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის აერთიანებს 30-ზე მეტ წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას. კოალიციის შექმნის მიზანია, მიმდინარე სასამართლოს რეფორმების მონიტორინგისა და დამოუკიდებელი და გამჭვირვალე სასამართლოსთვის ადვოკატირების პროცესში პროფესიული იურიდიული ასოციაციების, ადამიანის უფლებების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს და პროფესიული ასოციაციების და, ასევე, მედიის ძალისხმევის გაერთიანება.

კოალიციის წევრები:

კონსტიტუციის 42-ე მუხლი
მრავალეროვანი საქართველო
სოლიდარობა უკანონო პატიმრებს
საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია
სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი
საქართველოს ადვოკატები
დამოუკიდებელი პროფესიისათვის
ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი
ლიბერალი კონსტიტუციური უფლებების დაცვის ცენტრი
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის
საერთაშორისოსაზოგადოება
ასოციაცია მწვანე ტალღა
კავშირი "21-ე საუკუნე"
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა ცენტრი
საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
დემოკრატ მესხთა კავშირი
თავისუფლების ინსტიტუტი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
სამოქალაქო განვითარებისსააგენტო
საქართველოს გაეროსასოციაცია
ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო
დემოკრატიის ინსტიტუტი
ამერიკის სავაჭრო პალატა
სამოქალაქო ინიციატივების და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია
ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
თბილისის მედია კლუბი